



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/11

ქ. თბილისი


19 მაისი 2022

მედიცინის ფაკულტეტის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/40 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-04/40 დადგენილებით წარმოდგენილი ცვლილებები;
2. დამტკიცდეს უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ფაკულტეტის საშტატო ნუსხა (დანართი) და აისახოს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხაში;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი